KA010183651045819

**№10368/01**
**29 / ივლისი / 2019 წ.**

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსს
ბატონ არჩილ ნიკოლეიშვილს

ეროვნული სატყეო სააგენტოს ფინანსური
დეპარტამენტის უფროსის დროებით
მოვალეობის შემსრულებლის ლია კომახიძის

# მოხსენებითი ბარათი

ბატონო არჩილ,

როგორც მოგეხსენებათ, მიმდინარეობდა ტყის აღრიცხვის (ინვენტარიზაციის) სამუშაოები ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე სსიპ -ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდის ტერიტორიაზე undp-ის გრანტის ფარგლებში და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამონაწილეობით.

ზემოაღნიშნული საველე სამუშაოები დასრულდა მიმდინარე წლის 28 ივლისს, რასთან დაკავშირებითაც მიმდინარე წლის 24 ივლისს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის აღრიცხვის დეპარტამენტის № 10191/06 წერილით მოთხოვნილი იყო ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ვახშმით გამასპინძლების მომსახურების შესყიდვა 30 (ოცდაათი) პერსონაზე.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული წერილით მოთხოვნილი მომსახურების შესყიდვა რეგულირდება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის $10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტისა და ამავე კანონის 21-ემუხლის $1^1$ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გთხოვთ, თქვენს თანხმობას, ფინანსური დეპარტამენტის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველომ დანართის სახით წარმოდგენილი ინვოისის შესაბამისად უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება შპს„კრისტალი“-სათვის.

დაფინანსების წყარო: საკუთარი შემოსავლები.

პროგრამული კოდი: 311001

დანართი: ინვოისი.

პატივისცემით,

ფინანსური დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლია კომახიძე